

## კლიმატის ცვლილების გავლენა შავი ზღვის დონეზე

გიორგი ხომასურიძე

ელ.ფოსტა: khomagio@gmail.com

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, ი. ჭავჭავაძის პრ. 3, თსუ II კორპუსი, 0128, თბილისი, საქართველო

კლიმატის გლობალური ცვლილების გავლენა შავი ზღვის დონეზე განუსაზღვრელად დიდია. ზღვის სანაპირო ზოლი ამჟღავნებს განსაკუთრებულ მგრძობელობას კლიმატის ცვლილების მიმართ, სადაც აღინიშნება ზღვის დონის აწევა (2-3 მმ/წელი), შტორმების სეზონურობისა და ინტენსივობის ცვლილება, პლაჟების ინტენსიური წარეცხვა და ზღვის ზედაპირული წყლის ტემპერატურული რეჟიმის შეცვლა.

კვლევისთვის გამოყენებულია მეტეოროლოგიურ მონაცემთა სტატისტიკური, კლიმატური და გრაფიკული ანალიზი შავი ზღვის სანაპირო ზოლისთვის (ბათუმი, ფოთი, სუფსა). მეტეოსადგურების დაკვირვების მონაცემების მიხედვით შეფასებული და გაანალიზებულია ჰაერის ტემპერატურის, ნალექების ჯამების, და შტორმიანი დღეების რაოდენობის ცვლილებები.

წრფივი (60 წლიანი პერიოდის მიხედვით) აპროქსიმაციის ტრენდით ბათუმის საშუალო ტემპერატურამ მოიმატა  $0.5^{\circ}\text{C}/60\text{წ}$ -ით, ზღვის დონემ მოიმატა  $235\text{ მმ}/60\text{წ}$ , ფოთის საშუალო ტემპერატურამ მოიმატა  $0.7^{\circ}\text{C}/60\text{წ}$ -ით, ზღვის დონემ მოიმატა  $1375\text{ მმ}/60\text{წ}$ ,

წრფივი (50 წლიანი პერიოდის მიხედვით) აპროქსიმაციის ტრენდით ბათუმის ნალექების ჯამებმა შემცირდა  $100\text{ მმ}/50\text{წ}$ -ით, ფოთის ნალექების ჯამებმა მოიმატა  $450\text{ მმ}/50\text{წ}$ -ით. წრფივი (30 წლიანი პერიოდის მიხედვით) სუფსის შტორმული დღეების საშუალო რაოდენობამ მოიმატა  $150\text{ დღე}/30\text{წ}$ -ით.

კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელია კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლადობის შესაფასებლად და შესაბამისი ღონისძიებების შესამუშავებლად, რომელიც უზრუნველყოფს შავი ზღვისპირა რეგიონის მაქსიმალურ დაცვას კლიმატის ცვლილების უარყოფითი ზეგავლენისაგან.